ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 კაპ. ხუთშაბათი, 1917 წ. მკათათვის 6 (19)

# საქართველო

ხელის მოწერა და ყოველგვარი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—2-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მთაწმინდის ქუჩაზე, № 4.

წერილების და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადებანი ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მცხოვრებთა განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 145 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 145

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

კადეტი მინისტრები გადადგნენ, ისინი წინააღმდეგი არიან უკრაინის ავტონომიის აღიარებისა.

ბოლშევიკებმა აჯანყება დაიწყეს, ისინი მთავრობის ხელში ჩაგდებას მოითხოვენ.

კრონშტანდტელები პეტროგრადში მივიდნენ, საინჟინერო ციხე დაიპყრეს.

ყაზახები ბოლშევიკებს ებრძვიან.

კერენსკის დაჭერა მოუნდომეს მაგრამ, გაიქცა.

პეტროგრადის ქუჩებზე ზარბაზნების და პულემიოტების სროლაა. „გოსტინი დვორი" იწვის.

პეტროგრადის ქუჩებში შავი ავტომობილები დადიან და იქიდან ნიკოლოზის აღდგენას მოუწოდებენ ხალხს.

---

რუსებმა უკან დაიხიეს. კალუში დასტოვეს.

შამპანში დიდი ბრძოლაა. გერმანელებმა რეიმსს 1600 ყუმბარა ესროლეს.

ბეტმან-ჰოლვეგის მაგიერ მიხაელისი იმპერიის კანცლერად დაინიშნა.

რეიხსტაგში ზავის ზომიერი პირობებზე შეთანხმდნენ.

მთავრობამ უკრაინის ავტონომია აღიარა. უკრაინის გამგებელ ორგანოდ გენერალ-სეკრეტარიატია დანიშნული. დაარსდება ჯარის უკრაინული ნაწილები. უკრაინელთ წარმომადგენლები ეყოლებათ: სამხედრო მინისტრის კაბინეთში, გენერალ-შტაბში და მთავარ-სარდალთან.

### წერილები

მეთაური. უკრაინის ავტონომია და სამინისტროს კრიზისი.
შ. ამირეჯიბი. კადეტები და კონტრ-რევოლუცია.
გიორგი გვაზავა. საქართველოს ავტონომია.

ზ. ედილი—აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია.
დეკ. ნ. თალაკვაძე. სიტყვა, თქმული ამიერ-კავკასიის ბანკის კურთხევაზე
ლ. კოოპერატივები და სასურსათო კომიტეტები.
„პროფესორი ბენეშევიჩი".

კნეინა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, მკათათვის 8-ს გადახდილ იქნება წლის წირვა ძვირფასი შვილისა პრაპორშჩიკის ტვერის დრაგუნთა პოლკის

მერაბ სოლომონის ძის ანდრონიკაშვილის

წირვა დაიწყება დილით 10 საათზე; პანაშვიდი 12 საათზე, სიღნაღის მაზრაში, სოფელ ქოდალოში.

1—699—1

## განცხადება

ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო აუწყებს კლუბის წევრთ, რომ, რადგანაც თიბათვის 18-ს, არ შესდგა წევრთა

საგანგებო კრება

იგი გადაიდო მკათათვის 6-სათვის საღ. 10 საათ.

თანახმად მე-29-ე მუხლის ძალისა ეს კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია: მიმდინარე საქმეები და მუდმივ მოსამართლეთა არჩევნები.

1—760—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, მკათათვის 11-ს, მოხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში, საღამოს 9 საათზე.

კრების საგანია:

საქალაქო არჩევნებისათვის მომზადება და დარაზმვა ჩვენი წევრებისა და თანამოაზრეებისა.

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრნენ ამ კრებას და რაც შეიძლება მეტი თანამოაზრენი მოიყვანონ.

საქ. ეროვნულ დემ. პარტ. 1-ლი უბნის კომიტეტი.

3—761—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკ. პარტიის 2-ე უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმგეობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად, წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად.

10—755—4

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—6

თბილისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტისა და თბილისის ქალაქის მმართველობისაგან

საქალაქო არჩევნებისათვის

აღწერაში გამოშვებისა თუ შეცდომების შესახებ თიბათვის 24-დან 28-დის მიღებული განცხადებების განხილვას საარჩევნო კომისიამ თიბათვის 29, 30 და მკათათვის 1, 2 და 3 მოანდომა. თუ ამ ხნის განმავლობაში განცხადების მიმცემთ საქმის ვითარებაზე ცნობა არ მიუღიათ, ან და პროტესტისა თუ საჩივრის უარი ეუწყათ, მათ უფლება ეძლევათ ამ სამ დღეში, ე. ი. 4, 5 და 6, პროტესტითა თუ საჩივრით ოლქის სასამართლოსთან არსებულ ადმინისტრატიულ სასამართლოს მიმართონ ამ უკანასკნელმა საჩივარი მკათათვის 7, 8, 9, 10 და 11-ს უნდა განიხილოს რის შემდეგაც ე. ი. მკათათვის 12 ამომრჩეველთა სრული სია გამოქვეყნდება.

ვინც ამ სიებში არ იქნება იგი საარჩევნო უფლებას ჰკარგავს (მე-4 და 5-ე მუხლ. ძალით) და არჩევნებშიც მონაწილეობას ვერ მიიღებს (მე-12 მუხლ.) ამომრჩეველთა სიებს ორი კვირა, ე. ი. მკათათვის 12—26-დის ყველას სანახავად გამოაკრავენ.

2—758—2

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. ჩვენი ქვეყანა 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკელია.

ექიმი

გ. ი. ფარნაძე

იღებს შაგშვეთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ფრეილინის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი

გ. გ. ფეშხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზჟის ქუჩა, № 19

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ე. ღ. შალამბერიძე

იღებს სნებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

ზ. მ. მუხაძე

იღებს ხელოსნებთა ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

კბილის ექიმი

მოსე ანტონის ძე

ქალანდარიშვილი

უმაღლესი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის 1-ლი უბნის კომიტეტი

ამით აუწყებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა, რომ სამშაბათს, მკათათვის 4, მოხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში.

კრების საგანია: საქალაქო არჩევნებისათვის ჩვენი პლატფორმა და ხმოსნობისათვის შესაფერი კანდიდატების დასახელება.

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრნენ ამ კრებას.

საქარ. ეროვნულ-დემოკრ. პარტ. 1-ლი უბნის კომიტეტი.

---

### თბილისი, მკათათვის 6.

## უკრაინის ავტონომია და სამინისტრო კრიზისი

უკრაინის რადის მიერ კატეგორიულად დასმულმა მოთხოვნილებამ, რომ რუსეთის სარევოლუციო მთავრობას უზრუნველეყო უკრაინის სახელმწიფოებრივი ავტონომია, რუსეთის მთავრობისა და უკრაინის პასუხისმგებელ ორგანოთა შორის კონფლიქტი ჩამოაგდო და თავის მოთხოვნილებებში უყურადღებოდ ქცეულმა ერმა თვით შეუდგა თავის სახელმწიფოებრივ გამგებლობას.

რუსეთის რევოლუციის ბელადებმა მაშინ მიაპყრეს თავისი გაკვირვებული თვალი უკრაინის მოძრაობას, როდესაც უკანასკნელმა საკმაოდ დარაზმა თავის ძალები და საკმაოდ ნათლად დაამტკიცა, რომ მას შესწევს ღონეც და საშუალებაც თვითვე განამტკიცოს თავისი უფლებანი.

რუსეთის დემოკრატიის ტაქტიკაშიც კი, ვისი ფორმულა იყო ერთა თვითგამორკვევა ფართო ფარგლებში, იყო მომენტი, როდესაც შეიძლებოდა ეთქვათ, რომ უკრაინასთან ბრძოლაა საჭიროო.

მაგრამ ძალთა განწყობილებამ მაინც სხვა მიმდინარეობა მისცა საკითხს და ნათელი გამოჩნდა, რომ ბრძოლის წარმოება უკრაინელ პოლკებთან არც ისე ადვილი საქმეა და დროებითი მთავრობა შემარიგებელ პოლიტიკის გზას დაადგა.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ შუამავლების როლში მთავრობამ არა წმიდა რუსული სახის გამომხატველი მოღვაწენი წამოაყენა, არამედ ქართველი წერეთელი და უკრაინელი ტერეშჩენკო.

შესაძლებელია სხვაგვარი შემადგენლობა არც უკრაინას მიეღო. მათი მისია კეთილად დასრულდა—უკრაინა რამოდენადმე დასთანხმდა კომპრომისზედ, მაგრამ კიდევ მეტი რუსეთის პარლამენტიორებმა დასთმეს.

კიევიდან დეპეშამ გვაცნობა, რომ წერეთელმა მხურვალე ტაშით დაჯილდოვებულმა განუცხადა უკრაინელებს, რომ ის სასურველად სცნობს უკრაინულ ტერიტორიალურ ორგანოს დაარსებას, რომელმაც უკრაინა ავტონომიისთვის უნდა მოამზადოსო.

ეს აზრი მთავრობის დეკლარაციაში კიდევ უფრო გაფართოვდა და კანონიერად იქმნა აღიარებული უკრაინის გენერალ-სეკრეტარიატი, რომელმაც უნდა განახორციელოს სამთავრობო უფლება თავის ტერიტორიაზედ.

მთავრობამ გაიარა შესაძლებლობა უკრაინელ ჯარის შედგენისა და ამ მიზნისათვის უკრაინელი დელეგატები მიიწვია ყველა სამხედრო დაწესებულებებში.

უკრაინა დასთანხმდა, რომ საბოლოო გარდაწყვეტა თავის ეროვნულ პოლიტიკურ წყობილებისა და აგრეთვე მიწის საკითხის გადაჭრაც მინდობილ იქნეს რუსეთის დამფუძნებელ კრებას, მაგრამ ნამდვილობაში ხომ ისიც მისაღებია, რომ მთავრობამ სასურველად სცნო ავტონომიისა და მიწის საკითხის პროექტის შედგენა ცენტრალ რადის მიერვე ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ამრიგად წერეთლის და ტერეშჩენკოს ჩარევით კონფლიქტი სასურველად მორიგდა და უკრაინის მოთხოვნილებათა უმნიშვნელოვანესი მუხლები დაკმაყოფილებულ იქმნენ.

სამაგიეროთ უკრაინის საკითხის ამ სახით გადაჭრამ თვით სამინისტროში შექმნა კრიზისი და კადეტების სამინისტროდან გასვლა გამოიწვია.

რასაკვირველია კადეტების ასეთ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმას საფუძველი გაცილებით უფრო ღრმა აქვს ვიდრე უკრაინის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან შეურიგებლობაა.

რუსეთს არას დროს არ დასჭირებია მტკიცე ძალა უფლებით აღჭურვილი მთავრობა ისე, როგორც დღევანდელს მდგომარეობაში სჭირდება, როდესაც იგი ანარქიის ნაპირს მიადგა და პოლიტიკურ რევოლუციაში სოციალური რევოლუციის დამრღვევი ზოლი შეიჭრა.

სარევოლუციო მთავრობის დანიშნულება ის იყო, რომ შეეჩერებია კლასთა გათიშვა და ისინი ერთი ლოზუნგით აემოძრავებია. კადეტებმა სწორედ ამ დროს მიატოვეს სახელმწიფოებრივი მართველობის საჭენი, როდესაც ერთის მხრით ბურჟუაზული ინდიფერენტიზმი საკმაოდ ნათლად აისახა და მეორის მხრით პროლეტარული დიქტატურის მოთხოვნილება უკიდურეს ნაპირიდან დაუ ნებით წამოიჭრა.

ასეთ დროს კაბინეთის მიტოვება უთუოდ კონტრ-რევოლუციონურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამ მდგომარეობით ორივე მხარე ისარგებლებს და რევოლუციის მიმდინარეობა სრულებით ახალს ხანაში უნდა გადავიდეს.

ამ მდგომარეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ის ფაქტიც, რომ კრიზისის გამოწვევას არა რუსულმა საკითხმა მისცა საბაბი.

ჩვენი პეტროგრადელი კორესპონდენტი უკანასკნელი დეპეშით უკვე გვაცნობებს, რომ პეტროგრადი აჯანყდა. კადეტების გამოსვლამ სამხედრო ბუნტი გამოიწვია. კრონშტადტის ჯარებმა პეტროგრადის საინჟინერო კოშკი დაიპყრეს და „гостиный двор"-ის დარბევას შეუდგნენ. მათ კაზაკები გარშემოერტყნენ და პეტროგრადი სისხლის მორევში სცურავს. კერენსკი გაიქცა. შავი ავტომობილები ნიკოლოზის საბედისწერო სახელით ისევ გამოჩნდნენ პეტროგრადის ქუჩებში.

რევოლუციამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

პეტროგრადში ანთებული ალი ისევ პეტროგრადში იღებს ახალ ანთების ძალას, და თუ ვინ დაიწვავს მისი ალი, სულ მოკლე ხანში გავიგებთ.

## კადეტები და რევოლუცია

კადეტების პარტია დიდ ტრადიზმს განიცდის და შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს ტრადიზმი იმავ დროს რუსეთის ტრადიზმიც არის. მართლაც, აიღეთ რევოლუცია დღიდან მის დაწყებისა. ნიკოლოზ რომანოვის გადაყენების შემდეგ მილიუკოვმა ყველაზედ უწინ ის განაცხადა, რომ კანონიერი რეგენტი სახელმწიფოსი მიხეილ რომანოვიაო, მაგრამ რევოლუციამ ამის დასტური არ მისცა. შემდეგ, როდესაც იმავ მილიუკოვმა გარეშე საქმეთა მინისტრის პორთფელი მიიღო, მან დაიწყო ლაპარაკი მოკავშირეთა წინაშე და უფლებაზე შესახებ ანექსიისა და კონტრიბუციისა და დარდანელი და კონსტანტინეპოლი თავის პოლიტიკის უახლოეს მიზნად დაისახა. და როდესაც იმავ მილიუკოვმა თავის ისტორიული ნოტა გამოაქვეყნა, ეს ნოტა ის სუდარა გამოდგა, რომელშიაც რევოლუციამ მილიუკოვი გახვია. ამას გუჩკოვისა და მილიუკოვის გადაყენება და კოალიციური სამინისტრო მოჰყვა. კადეტები სამინისტროში დარჩნენ, მაგრამ თვით მილიუკოვმა ყაზახთა ყრილობაში გადინაცვლა. საყოველთაოდ—ცნობილი ბელადი რუსეთის ოპერაციისა მუხლ-

მოდრეკით ევედრებოდა ყაზახ-რუსებს რუსეთის ხსნას. ვისგან, ან რისგან? ამის პასუხს, ცხადია, მაშინ მივიღებთ მხოლოდ, თუ ყაზახთა ყრილობა უბ-რალო ბუფონად არ იყო და თუ ისი-ნი მოისურვებენ თავიანთ სიტყვებს მოქმედება მისცენ.

და აი, ეხლაც, უკანასკნელი შემ-თხვევა. კადეტ-მინისტრები სამინისტ-როდან გადადგნენ, რადგანაც არსე-ბითად არ გაიზიარეს იმ დეკლარა-ციის შინაარსი, რომლითაც დროე-ბით მთავრობამ უკრაინის ავტონომია დაამტკიცა.

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ყველა ამ ფაქტებიდან? უეჭველად ის, რომ კადეტებს არ სურდათ რესპუბ-ლიკა, კადეტებს არ სურდათ ზავი და კადეტებს არ სურთ ეხლა რუსეთში მოსახლე ერთა განთავისუფლება.

რანაირი იქნება ამის შემდეგ კადე-ტების როლი რევოლუციაში? თუ ისი-ნი მართლა წავიდნენ დროებით მთა-ვრობიდან და ისე, რომ აღარ დაბ-რუნდებიან, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ისინი წავიდნენ რევოლუციიდან და მოვლენ მხოლოდ კონტრ-რევოლუციას-თან ერთად. ამაში ერთგვარი საფრ-თხეა, მაგრამ არსად სჩანს ჯერ კვა-ლიფიკაცია ამ საფრთხისა. ისინი ჩა-მოშორდნენ რევოლუციას, როგორც მომპალი სახსარი სხეულს, სოცია-ლისტ მინისტრების აქტი კი უკრაინის შესახებ უფრო აღრმავებს რევოლუ-ციას. მაგრამ თავისთავად ეს ყველა-ფერს არ გამოხატავს. უდიდესი მნიშ-ვნელობა უკანასკნელ სამინისტრო კრი-ზისისა და მისი განსხვავება პირველ სამინისტრო კრიზისიდან იმაში მდგო-მარეობს, რომ კოალიციურ სამინის-ტროს წარმოშობა უმთავრესად გარეშე ინტერესთა ნიადაგზე მოხდა. იქ ომის მიზნებმა ითამაშეს როლი. მეორე კრი-ზისი კი ერთიანად რევოლუციის შინა ინტერესთა ნიადაგზე აღმოცენდა. აქ თვით რუსეთის შინა საქმეებმა ითა-მაშეს მთავარი როლი. ამრიგად, რუ-სეთის რევოლუცია, თავის საკუთარ საკითხებს დაუბრუნდა. აქ არის უდი-დესი მნიშვნელობა დროებით მთავრო-ბის კრიზისისა და უარყოფითი როლი კადეტებისა ამ ფაქტში ისტორიული მნიშვნელობისა არის.

შ. ამირეჯიბი.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 4. **დასავ-ლეთის ფრონტი.** კალუშის ჩრდილო-აღმოსავლეთით მკათათვის 3-ს დილით გერმანელებმა გაცხარებული შეტაკება აწარმოვეს. მაგრამ ჩვენებმა მოიგე-რიეს. ტაქტიკურ მოსაზრებით, ჩვენმა ჯარმა ლომნიცის ქვემო მდინარეობის მარცხენა ნაპირი დასტოვა. ჩვენებმა მდ. ლომნიცის მეტად მნიშვნელოვანი ფონები დაიჭირეს, თუმც კალუში კი მთლად დასტოვეს. ნოვიცა-ლდზიან-კრასნეს რაიონში ჩვენები ფართე შე-ტევებს აწარმოებდნენ, იმ მიზნით, რომ მტერი მდ. ლომნიცის იქით გა-ნედევნათ; მტერი დიდ წინააღმდეგო-ბას გვიწევდა. სოფ. ბერლოს-კაგანკას მხრიდან მტერმა კონტრ-იერიშები და-იწყო. პირველად ჩვენი ჯარი მეტად შეავიწროვეს და სოფ. ნოვიცაც დაი-ჭირეს, მაგრამ მოშველებულ ახალ ძა-ლით მტერი ზემოხსენებულ სოფლიდან განვდევნეთ. მტრის იერიშების უკუ-ქცევაში დაღესტნისა და კაბარდინელ-თა ცხენოსნების პოლკი ქვეითა ჯარში იღებდნენ მონაწილეობას და დიდი სიგმირეც გამოიჩინეს. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. დანარჩენი ფრონ-ტი უცვლელადაა.

**რუმინეთის ფრონტი.** 50 კაცით შე-მდგარ მზვერავ რაზმა პოლკოვნიკ ყა-ბრეკის უფროსობით მდ. დუნაიის გი-ორგიევის ტოტზე მდებარე სოფ. დუ-ნავეცი დაიჭირა. იქ მყოფ მტრის 2 როტა თითქმის მთლად ტყვედ ჩაიგ-დო. ამის გარდა მათ დარჩათ რამდე-ნიმე მძიმე ზარბაზნები, 2 ტყვიის-მფრქვეველი და სხვა და სხვა ქონება. რაზმმა 3 აფიცერი და 8 ჯარისკაცი დაჰკარგა.

**კავკასიის ფრონტი.** სერდეშტასა და ბანას რაიონში ღამით ქურთები დაგვესხნენ თავს. ჩვენ მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე გარრანის რაი-ონით ოსმალების შემოტევა.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 3. **ოფიციალი.** ბრიან-ლანნუასა და იურტებიზას ჩრდი-ლოეთით საარტილერიო ბრძოლა მე-ტად გაცხარდა. შამპანში, რეიმსის ჩრდილო-აღმოსავლეთით ღამე დაწყე-ბული ბრძოლა დღისით ჩვენი გამარ-ჯვებით გათავდა. მიუხედავად ყოვლის ღონისძიებისა მტერმა ვერ შესძლო იმ ტერიტორიის წართმევა, რომელიც ჩვენ მკათათვის 1-ს დავიჭირეთ. ახალ ცნობებით, მტერი წუხელ გაცხარებულ იერიშებს აწარმოებდა. ჩვენ მტრის სამი პირი ტალღა მოგვაწვა. ორი მათგანი საარტილერიო ცეცხლით გავ-ფანტეთ, მხოლოდ ერთმა შესძლო, გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ, რომე-ლიც გათენებამდის იყო ჩვენი მოწი-ნავე ასპარეზი დაეჭირა. ჩვენებმა შე-მუსრეს მტერი და მათგან დაჭერილი ტერიტორია მთლად ხელახლა წაარ-თვეს. რეიმსს 1600 ყუმბარა მოხვდა. მოკლულია ორი მოხუცი. მთელ რაი-ონში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. მდინარე მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო მო-ქმედებაა.

**ჰავრი.** მკათათვის 3. **ოფიციალი.** პორტაშოტესა და გეტზასში არტილე-რიის მოქმედებაა.

**ჰავრი.** მკათათვის 3. თიბათვის 30 შორზეში მტრის მფრინავი ჩამოვაგ-დეთ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 2. **ოფიცია-ლი.** არმანტიერის, ვეიტსხოტესა და ნიუპორის მიდამოებში ჩვენი და მტრის არტილერია მოქმედობდა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა ორს ალაგას ჩაჰყარეს ყუმბარები. ყუმბარები მტრის ჰაერო-დრომსა და სამხედრო საწყობებს მო-ხვდა. გერმანელებმა 3 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს [illegible] ჩვენ 5 ჰაეროპლანი გვაკლია.

**ლონდონი.** მკათათვის 3. **ოფიცია-ლი.** [illegible]

**ლონდონი.** მკათათვის 4. **ოფიცია-ლი.** [illegible]

[illegible]

**ლონდონი.** მკათათვის 3. [illegible] ინგლი-სის ბანაკის ცნობა. ფრონტის ბრი-ტანეთის უბანში პატრულების ჩვეუ-ლებრივი შეტაკებებია. ვერ დარის ფრონტზე მტრის არტილერიის საშუა-ლო მოქმედებაა; უფრო მკაცრი კი— პრესპას ტბის ნაპირებზეა.

**ხოლუნი** მკათათვის 3. ამ უკანა-სკნელ ორი დღის განმავლობაში ღირს შესამჩნევი არა მომხდარა რა.

**ხოლუნი.** მკათათვის 3. ინგლისელ მფრინავმა მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. ორხიდის ტბის სამხრეთით პატრულების შეტაკებაა.

**პარიზი.** მკათათვის 3. **საფრანგეთის ბანაკის ცნობა.** ვარდარას რაიონში პატრულების ძლიერი რაზმი ჩვენსკენ წამოვიდა მაგრამ არტილერიის ცეცხ-ლით გავფანტეთ. მონასტრისა და ორ-ხიდის ტბის შუა სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.**

**ლონდონი.** მკათათვის 4. ჩვენმა მფრინავებმა მტრის 3 ჰეროპლანი ჩა-მოაგდეს. ჩვენც 3 ჰეროპლანი გვაკ-ლია.

**ლონდონი.** მკათათვის 4. **სამირბა-რო იუწყება:** მკათათვის 2-ს ღამე ჩვენი საზღვაო მფრინავები ზერბერგ-ში სოლვეის ქარხანას, ოსტენდეს რკინის გზის ტოტს, მილდკერკეს ამუ-ნიციის საწყობებს, ტურუს რკინის გზის ტოტს, ჯავშნიან ავტომობილე-ბის და ლიხტერფელდეს გზებს ყუმბა-რებს უშენდნენო.

**რიგის ასპარეზზე.**

**რიგა.** მკათათვის 3. მკათათვის 2-ს რიგის ასპარეზზე ბრძოლა უკიდურეს მდგომარეობამდე მივიდა. მტერი მე-ტად სასტიკად იბრძვის.

**„სიკვდილის ბატალიონის" გაცილება**

**მინსკი.** მკათათვის 3. თავისუფლე-ბის მოედანზედ გააცილეს „სიკვდი-ლის ბატალიონი", რომელშიც 100 აფიცერი და 400 იუნკერია. ამ იუნ-კრებმა აფიცრობაზე უარი სთქვეს. საზოგადოებამ თავის გმირებს დიდი ოვაციები გაუმართა.

**პარიზი.** მკათათვის 2. ინგლისის მეფე-დედოფალმა დაათვალიერეს ინ-გლისის [illegible]

[illegible]

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 2. დეპუ-ტატთა პალატამ [illegible] 640 მილიონი დოლარი [illegible]

[illegible]

**რიგა.** მკათათვის 3 რიგის ასპა-რეზზე [illegible]

**კერენსკი ფრონტზე**

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. სამ-ხედრო მინისტრი კერენსკი [illegible]

**ამერიკის ჯარის შედგენა დაიწყო**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 3. დაიწყო ნაციონალური ჯარის მობილიზაცია [illegible] და ე. ი. დაახლოებით 50.000 კაცი

**მე-5 ე ლაშქრის ამბავი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. დღეს, სრულიად რუსეთის მ. და ჯ.-კ. საბჭოს ცენტრალ კომიტეტის ბიურომ მოისმინა მე-5-ე ლაშქრის წარმომადგენლის მო-ხსენება ამ ლაშქრის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელთა სიტყვით ეს ლაშქარი მშვენივრად იყო მოწყობი-ლი, მაგრამ კონტრ-რევოლუციონე-რების (ლაშქარში მხოლოდ ყოფილი პოლიციელები, ჟანდარმები და „ოხ-რანკები" არიან) წყალობით ლაშქარ-ში რღვევა დაიწყო. მარტო ერთს პოლკში 39 სისხლის სამართლით დამ-ნაშავე და ჟანდარმები აღმოაჩინეს. ეს პირები ატყობინებდნენ გერმანე-თის შტაბს ლაშქრის ორგანიზაციის ამბებს. შემდეგ მ. და ჯ.-კ. დეპუ-ტატთა კომიტეტების პირით გამო-ცემულ იქმნა განცხადება, რომელიც მოუწოდებს ჯარისკაცებს დაემორ-ჩილნენ კერენსკის ბრძანებას, რომელ-თაც უნდა შეტევა აწარმოვონ. ყველა ვალდებულია შეეშველოს იმას, რომე-ლიც პირველ რიგში თამამად ხვდება მტრის ქარცეცხლს.

**გემზე ტყვიის აღმოჩენა**

**პარიზი.** მკათათვის 3. ნიუ-იორკი-დან გამოსულ გემ „კურდამორ"-ზე საბჟოს მოსამსახურეებმა ბოჩკებში ტყვია-წამალი აღმოაჩინეს. გემი გერ-მანიაში მიდიოდა.

**რეიხსტაგში.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 2. სტოკ-ჰოლმიდან იუწყებიან: რეიხსტაგის უმრავლესობა ზავის პროგრამაში შეთანხმდა. რეიხსტაგი ერთა თანხმო-ბისაკენ მიისწრაფის, იგი უარყოფს ტერიტორიის შეძენას, პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსიურ ძალადობას სხვა ერებზე, უარჰყოფს ეკონომიურ იზოლიაციას და ზღვების თავი-სუფლებას მოითხოვს. მაგრამ გერ-მანეთს ამ სიძნელის გადატანა მა-ნამდის მაინც მოუხდება, ვიდრე გერ-მანეთისა და მის მოკავშირეების ცხოვ-რება-განვითარების უფლებებს არ მოიპოვებს.

# სამინისტრო კრიზისი და არეულობა პეტრო-გრადში

**პეტროგრადის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების მოწოდება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 4. [illegible]

[illegible] ლებს. შემდეგ მიუახლოვდნენ თავრი-დის სასახლეს და აღმასრულებელ კო-მიტეტს სთხოვეს მთავრობის ხელში აღება.

შესთავაზეს რა საბჭოებს მთავრო-ბა, მათვე პირველად შეურაცხყვეს იგინი. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმ. კომიტე-ტი ზიზღს უცხადებენ მათ, ვისაც ჰსურს ხალხის ნების-ყოფის დამონება და ლამობს, რომ ერთი ქალაქის გარ-ნიზონს გადასცეს ვრცელი რუსეთის დიქტატურა. ის სისხლი, რომელიც პეტროგრადის ქუჩებზე დაიღვარა მათზეა. ვინც აქ ხანჯალს სცემს რუ-სეთის დემოკრატიას, ის აშკარა მეგო-ბარია ვილჰელმის და ამით ჰღალა-ტობს რევოლუციონურ ჯარს, რომე-ლიც სამშობლოს იცავს. რუსეთის მუ-შათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმ. კომიტეტი პროტესტს აცხადებს ასე-თი მოქმედების წინააღმდეგ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ორგანოე-ბი მოითხოვენ ასეთი საზიზღარი საქ-ციელის აღკვეთას, ესეთი საქციელი რევოლუციონურ პეტროგრადს ჩირქსა სცხებს.

მოვუწოდებთ ყველა ორგანოებს, რომელნიც რევოლუციის განმტკიცე-ბას ემსახურებიან, მშვიდობიანობა და-იცვას და იცადოს. დემოკრატიული ორგანოები გადასწყვეტენ სამინისტრო კრიზისის საკითხს. ამ დადგენილებას კი ყველა ჩვენგანი მოვალეა რევოლუ-ციის სახელით დაემორჩილოს.

**პრემიერ მინისტრის დეპეშა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 4. ცირ-კულიარი დეპეშა მინისტრთა თავმჯ-დომარისა: შინაგანი სამინისტრო აც-ხადებს, რომ ხმები, ვითომც დროებით მთავრობის წევრები დაპატიმრები-ნოთ ტყუილია. არც შეიარაღებული შეტაკებები ყოფილა. მკათათვის 4-ის 12 საათამდე მოწოდებას, რომ მთე-ლი სახელმწიფოებრივი ძალა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების ხელში გადასულიყო ფართო მასაში გასავალი არ ჰქონდა. აღმ. კომიტეტებმა გამოს-[illegible]

**მკათათვის 3-ს ამბები.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 4. [illegible] აგრეთვე ჯარის ნაწილები, წითელი დროშებით. ყველაზე წინ ტყვიის მფრქვეველთა 1-ლი პოლკი იდგა. მის დროშებზე ეწერა:—„ძირს მინისტრი—კაპიტალისტები" პოლკს უკან ავტო-მობილები იდგა ტყვიის მფრქვეველე-ლებით. მათ იქით კი იდგა მუშათა წითელი გვარდია. ტრამვაის მოძრაო-ბა შეწყვეტილ იქმნა. არც სასახლე-დან და არც სასახლეში ავტომობი-ლებს არ უშვებდნენ: მუშათა და ჯა-რის კაცთა საბჭოების წევრები ქუჩა-ში გამოვიდნენ და ხალხს წესიერების დასაცავად მოუწოდებდნენ.

**ჩხეიძემ** განაცხადა, რომ ჯარის კერძო ნაწილებს და მუშათა კერძო კავშირებს ნება არა აქვთ თავისი სუ-რვილი თავს მოახვიონ რუსეთის დე-მოკრატიის ცენტრალ ორგანოს. ამი-ტომ ჩხეიძემ ხალხს იარაღის დაყრა და დაშლა სთხოვა, მაგრამ მის სიტყ-ვას მეტის-მეტად ცივად შეხვდნენ. ასევე ცივად შეხვდნენ სხვა ორატო-რებს, რომელნიც ხალხს დაშლას სთხოვდნენ. მათ ხშირად სიტყვებს აწყვეტინებდნენ და უძახოდნენ:—ძირს. ბოლშევიკ ორატორების ტროი-ცკის, ზინოვიევის და სხვების სიტყ-ვებს დიდი აღტაცებით ეგებებოდნენ. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტის სხდომა ამ ამბების გამო არ მოხდა. კომიტეტის წევრები სა-სახლიდან წავიდნენ. ამ დროს თავრი-დის სასახლეში მოვიდნენ რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების წევრები, მოვიდნენ აგრეთვე მინისტრი სოციალისტები. გაიმართა საგანგებო კარდაკეტილი სხდომა. ამ დროს სა-სახლეში მოვიდნენ პეტროგრადის გარ-ნიზონის წარმომადგენლები, ტელეფო-ნით ჩხეიძის მიერ დაძახებულნი. დე-ლეგატები სხდომის რეზოლუციას უც-დიდნენ. საღამოს თავრიდის სასახლე-ში მრავალი დაჭრილ-დასახიჩრებული მოიყვანეს.

# საქართველოს ავტონომია*)

(გაგრძელება)

**პოლიტიკური წესწყობილება საქარ-თველოში.**

ფეოდოლიზმი გაჰქრა, მისი ადგილი დაიჭირა კაპიტალისტურმა წესწყობი-ლებამ: დაინგრა სამეფო ტახტი, უფ-ლება-მოსილება გადავიდა დემოკრა-ტიაზე. ამ გარემოებათა გამო პოლი-ტიკურ წესწყობილებამ საქართველო-ში უნდა მიიღოს თანამედროვე დე-მოკრატიული სახე და ხასიათი.

ა) ეროვნული კრება.

ხალხის უფლებამოსილობა გამოიხა-ტება მის საკანონმდებლო წარმომად-გენლობაში. ეს იქნება ეროვნული კრება. იგი უნდა იყოს ნამდვილი გა-მომხატველი ხალხის სურვილის და მი-სწრაფებისა, მაშასადამე აქ უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ყოველი კუ-თხე საქართველოსი, აგრეთვე ყოვე-ლი ჯგუფი და აზრთა მიმდინარეობა. აგრე საქმის მოსაწყობად საჭიროა არა მარტო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრა, არამედ აგრეთვე პროპორციული არ-ჩევნები წარმომადგენლებისა. რიცხვი იმათი შეიძლება იყოს 120—240 ამდე. ამისთანა ეროვნულ კრებას ექნება სრული კანონმდებლობის უფლება.

გამოსარკვევია სივრცე და სფერ-ოე ამ უფლებისა. სწორედ აქ არის სადავო მიდამო.

რომ წარმოვიდგინოთ უფრო მკა-ფიოდ ის წესწყობილება, რომელიც იქნება საქართველოში, ჯერ დავიწ-ყოთ იმ უფლებათა აღნუსხვით, რო-მელნიც საქართველოს ეროვნულ კრე-ბას მიეკუთვნება. მართალია, სრულად ამ საკითხის ამოწურვა შეუძლებელია, მაგრამ უმთავრესი დარგიდა სფერონი მაინც აღნიშნული უნდა იყოს.

აი უმთავრესი ამ უფლებათაგანი:

1.—ჯარის მოწყობა, მისი გაწვრთვ-ნა და განათლება, მისი ჩაცმა-დახურ-ვა და დაბინავება; აგრეთვე რიგი და წესი სამხედრო სამსახურისა.

ყოველ სახელმწიფოებრივ ერთეულს სჭირია ჯარი ან მილიცია. ხელშეკრუ-ლების ძალით საქართველოს უნდა ჰყოლოდა მუდმივი თავისი ჯარი და ომის დროს მიეშველებინა იგი რუსე-თის დასახმარებლად. გარდა ამისა, თითქმის ყველა ავტონომიურ სახელ-მწიფოს ჰყავს თავისი ჯარი. მაშასა-დამე, მოთხოვნილებაში როგორც უფლებრივად, ისე ფაქტიურად მოუ-ლოდნელი არაფერია.

2. მოწყობა ფართო ადგილობრივი თვითმართველობისა სოფლებში და ქა-ლაქებში. საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებს დიდი თავისებურობა ეტყობა; ამიტომ ამ ადგილებს უნდა მიეცეს ვრცელი თვითმართველობა და ამ საქმის მოწესრიგების უფლება უნდა ჰქონდეს ეროვნულ კრებას.

**3. მოწყობა სამართლისა, ადმი-ნისტრაციისა და ხალხის განათლები-სა.** სამართალი უნდა ეგუებოდეს ხალ-ხის უფლებრივ შეგნებას, მის საზოგა-დოებრივ სინიდისსა, მაშასადამე იგი მოწყობილი უნდა იყოს ისე, რო-გორც ამას გადასჭრის ხალხის შეგნე-ბა და მისი კულტურული მდგომარეო-ბა. ადმინისტრაცია კი არ უნდა იყოს ხალხისაგან განშორებული, პირიქით უნდა იყოს ხალხის მიერ ამორჩეული, აღჭურვილი მისი ნდობით და პატივის-ცემით; ამას უნდა თავისი კანონმდებ-ლობა, აგრეთვე შეთანხმებული ხალ-ხის სურვილთან.—უფრო საყურადღე-ბოა ხალხის განათლება, სკოლების, მუზეუმების და სხვა საკულტურო და-წესებულებათა გახსნა და განვითა-რება.

**4. სამოქალაქო და სოციალური კა-ნონმდებლობა.** აქ იგულისხმება და-ცვა მოქალაქობრივი თავისუფლებისა, გადაწყვეტა და მოწესრიგება კერძო საკუთრების საკითხისა და დაცვა შრომის და შემოქმედებისა. ყველა ამ საკითხებს აქვს დიდი და საყოველთაო მნიშვნელობა; ამიტომ ამბობენ—სულ ეს საგნები არ უნდა შედიოდეს საავ-ტონომიო უფლებაშიო. ეს აზრი შემ-ცდარია. ჯერ ერთი, ავტონომიის ში-ნაარსი არამც თუ არ ეწინააღმდეგება ამისთანა საკანონმდებლო უფლებასა, პირიქით, ეხლანდელ დროში ავტონო-მია წარმოუდგენელია, თუ ეს უფლე-ბები მას არ ექნება მინიჭებული. ავ-სტრალია, კანადა, ახალზელანდია და ბევრი სხვა ქვეყნები სწორედ იმიტომ დაწინაურდნენ და საზარბიელოდ მოა-წყვეს თავიანთი ცხოვრება, რომ ჰქონ-დათ ამისთანა უფლება და შეეძლოთ თავისუფლად გაეწიათ შრომა და ენ-ერგია. მოქალაქობრივი თავისუფლება ამ ქვეყნებში უზრუნველყოფილია, სო-ციალური კანონმდებლობა—გასაკვირ-ველი. თითქმის აგეთივე მდგომარეობა-შია ფინეთი; მიუხედავად იმ ბრძოლისა და ვაივაგლახისა, რომელიც განიცადა ამ ქვეყანამ რუსეთის ბიუროკრატიის ძა-ლა-მომრეობისაგან, მაინც იგი წავიდა წინ და რუსეთის სხვა ქვეყნებთან შე-დარებით გაცილებით მაღლა სდგას ეკონომიურად და კულტურულად. ბო-ლოს, როგორც მოგეხსენებათ, საქარ-თველოს აქვს ამისი უფლება 1783 წ. ხელშეკრულების ძალით. ამ ხელშეკ-რულების მეექვსე მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ კანონმდებლობა, მარ-თვა-გამგეობა, ხარჯის აკრეფა და სა-მართალი უნდა დარჩენილიყო ხელუხ-ლებელი რუსეთის მიერო. ამიტომ არ არის არავითარი საფუძველი იმის გა-სამართლებლად, თუ ეს კანონმდებ-ლობა საქართველოს ავტონომიას ექმ-ნება შეზღუდული.

აიღეთ, თუ გნებავთ, მუშათა საკით-ხი. რად უნდა იყოს ჩვენი მუშა ხალ-ხის კეთილდღეობა დამოკიდებული რუსეთის კანონმდებლობისაგან? განა ჩვენ, ჩვენს მუშა ხალხს თვითონ უკეთ არ გვეგება, თუ რა არის მისთვის სა-ჭირო? 8 საათის სამუშაო დღე იქნე-ბა შემოსაღები, თუ უფრო ნაკლები, ან საჭიროა ზოგიერთ შემთხვევაში სრულებით შრომის აკრძალვა, ან ჯა-მაგირის მომატება; საჭირო იქნება ეგ-რეთ წოდებული კოლექტიური ტარი-ფი შრომისა, თუ სამედიატორო კამე-რის შემოღება და სხვა და სხვანი— სულ ეს, დამეთანხმებით, ისეთი კანონ-მდებლობაა, რომელიც უნდა იყოს ჩვე-ნივე ხალხის ხელში, თუ არ გვინდა ჩვენივე ხალხის ბედი და კეთილდღე-ობა მსხვერპლად შევწიროთ ზოგიერთ მიუწვდენელ ოცნებებს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს მიწათ მფლობელობას და მიწათ მოქმე-დობას. რამდენი გვაქვს საზოგა-დოდ თავისუფალი მიწა, რა სა-მეურნეო ხასიათის და ბუნებრივი ნოყიერებისა, ვის რამდენი უნდა მიე-ზომოს, რა წესით და პირობებით, სად როგორ უნდა გამოვიყიდოთ და სად როგორ უნდა მოვიხმაროთ ეს მიწა-წყალი, სულ ეს ადგილობრივი საკით-ხია და ამათი გადაწყვეტა უნდა გა-დაეცეს ისევე ჩვენს ხალხს, ჩვენს გლეხობას და საზოგადოდ ყველას, ვინც მიწაზე მუშაობს. ამისთანა კით-ხვების გადაწყვეტა შორს ჩვენგან, რუ-სეთის პარლამენტში, სადაც საქართ-ველოს წარმომადგენელი იქნება ხუთი ან ათი კაცი და თითქმის ათას სულს სხვა ხალხის და ეროვნებათა წარმო-მადგენელი, ყოვლად შეუძლებელია. ამისთანა კანონმდებლობა უფრო არევს და დარღვევს საუკუნოებით დამყარე-ბულს ჩვენს საადგილ-მამულო განწყო-ბილებას და შეიძლება ისეთი კა-ნონებიც შემოიტანონ, რომელიც სულ არ შეეგუება ჩვენს ცხოვრებას და ჩვენი ხალხის სურვილს.

ამიტომ სრული კანონმდებლობა შე-სახებ სამოქალაქო უფლებისა, სისხლის სამართლისა და სოციალური განწყო-ბილებისა, უნდა ჰქონდეს მინიჭებული საქართველოს ავტონომიას.

**5) საფინანსო პოლიტიკა.** ეს შე-ხება საზოგადოდ ხალხის ეკონომიურ ძალას, მის მიმართულებას და განვი-თარებას. ამ სფეროში შედის სხვა და სხვა გვარი გადასახადი, ბაჟი და აქ-ციზი, ხაზინის ალები, კრედიტის გან-ვითარება, ბანკების მოწყობა და მფარველობა ვაჭრობის, მრეწველო-ბის და მეურნეობისა. საქმე იმაშია, რომ ეხლანდელ დროში, ზღვაოსნო-ბის, რკინის გზების და სხვა კულტუ-რული წინმსვლელობის გამო, არც ერთი ქვეყანა არ არის გამოთიშული საერთაშორისო განწყობილებისაგან. არის მსოფლიო ბრძოლა არსებობისა-თვის. ის ერი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ამ მსოფლიო ეკონომიურ განწყობილებას და თავის დროზე არ მიიღებს საჭირო ღონისძიებას თავის ინტერესების დასაცველად, ის ერი დაღუპულია, იგი ადრე თუ გვიან გახ-დება ლუკმა სხვა ერებისა. ამიტომ აქ გვმართებს ძალიან სიფრთხილე, დიდი გამჭრიახობა და უფრო მეტი ენერგია. სხვისი წყალობით და ქველ-მოქმედებით ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ. ქველმოქმედება არ არსებობს საერთა-შორისო განწყობილებაში. აქ ჩვენვე უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს. თუ ჩვენ-ვე უნდა მოვუაროთ, აშკარაა, ჩვენ უნდა გვქონდეს ნება ამ თავის მოვ-ლისა ე. ი. კანონმდებლობისა. ამიტომ საქართველოს ეროვნულ საკრებულოს უნდა ჰქონდეს სრული უფლება: შე-მოიღოს სხვა და სხვა გადასახადი, ბა-ჟი, აქციზი, აიღოს სესხი, გახსნას სა-კრედიტო დაწესებულებანი, მოაწეს-რიგოს ვაჭრობა-მრეწველობა და მე-ურნეობა.

გიორგი გვაზავა.

*) მოხსენება წაკითხულია საქარ-თველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობა-ზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუცია

## დეპეშები

### საპოლიციო რეფორმების კანონპროექტი.

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 3. სოციალდემოკრატიულ ფრაქციის ინიციატივით ფინეთის სეიმში ქალაქების საპოლიციო რეფორმების კანონპროექტი შეიტანეს.

### სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. დროებით მთავრობის დადგენილებით შრომისა და სანოვაგის სამინისტროებში ამ წლის თიბათვის 1 დან შესულ მოსამსახურეთ სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა აგვისტოს პირველამდის გადაედოთ.

### ეროვნულ-რესპუბლიკანელები.

**მინსკი.** მკათათვის 3. მრავალ-რიცხოვანმა რუს ამომრჩეველთა ყრილობამ,—სადაც მოხელენი იყვნენ—ყოფილი ოქტომბრისტები და ნაციონალისტები,—დაადგინა—ქალაქისა და დამფუძნებელ ყრილობის არჩევნებისათვის ეროვნულ-რესპუბლიკანელთა დროშის ქვეშ შეერთდნენ.

### რუსულ მართლწერის რეფორმა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა მიზანშეწონილად განახორციელოს რუსულ მართლწერის რეფორმა პირველ დაწყებითი სკოლის პირველ განყოფილებიდანვე. საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს ურჩევენ ახალი მართლწერით იხელმძღვანელონ და თავი დაანებონ ძველ მართლწერის წესების შესწავლას.

### სოფლის ყრილობების დადგენილებათა გაუქმება.

**პეტროგრადი.** მკათათვის 3 იუსტიციის სამინისტრომ საჭიროდ სცნო თავისი განკარგულებით გააუქმოს სოფლის ყრილობის წესი, რომლითაც თავნებობით სდევნიან სოფლიდან თვის უვარგის პირებს ახალი განკარგულების ძალით განდევნილებს დაბრუნების ნება ეძლევათ.

# ეროვნული საკითხი

### კადეტთა პარტია და უკრაინა

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალ კომიტეტმა საჭიროდ სცნო პარტიის პროგრამის გაფართოვება, მიღებულ იქმნას უკრაინის საოლქო ავტონომიის პრინციპი. დაარსებულ იქმნას კომისია ამ ავტონომიის კანონ-პროექტის შესამუშავებლად სახელმწიფოს საზოგადო ინტერესების დაცვით და რუსეთთან განუყრელობით.

### ფინეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სოციალისტებსა და ბურჟუაზიას შორის.

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 1. (დაგვიანებულია). სეიმის გუშინდელ საფრაქციო სხდომის დადგენილებანი დამოუკიდებლობის შესახებ საიდუმლოდ არის შენახული. ზოგიერთ ცნობების მიხედვით ფრაქციათა შეთანხმება უკვე მომხდარა. ბურჟუაზული პარტიები წინანდელი თვალსაზრისით უყურებენ საქმეს და მოითხოვენ კონსტიტუციის შენახვას. დღეს დანიშნულია კარ-ღია სხდომა დეპუტატებისა, რომელზედაც სოციალისტები ერთხელ კიდევ ეცდებიან ბურჟუაზიასთან შეთანხმებას.

### რეზოლიუცია უკრაინის დემოკრატიულ ორგანიზაციებისა

**ჩერნიგოვი.** მკათათვის 3. უკრაინის რადის საგუბერნიო აღმასრულებელმა, სასურსათო და საადგილმამულო კომიტეტებმა, რომელშიაც შედიან საქართველო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი—გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მიესალმებიან დრ. მთავრობის და უკრაინის ცენტრალ რადის შეთანხმებას. რუსეთის და უკრაინის რევოლუციონური დემოკრატია ერთიანდება უკრაინის ავტონომიის განსამტკიცებლად ფართე დემოკრატიულ საფუძვლებზე; მცირე ეროვნებათა უფლების უზრუნველყოფით და რევოლუციის ძალთა მონავრის განმტკიცებით.

# მთავრობამ უკრაინის ავტონომია აღიარა

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. დროებითმა მთავრობამ მოისმინა რა მინისტრების წერეთლის, კერენსკის და ტერეშჩენკოს მოხსენებები უკრაინის შესახებ შემდეგი გადასწყვიტა: უკრაინის მმართველობის უმაღლეს ორგანოდ დაინიშნოს საგანგებო ორგანო—გენერალ-სეკრეტარიატი. ამ ორგანოს შემადგენლობა მთავრობის მიერ იქნება განმარტებული ცენტრალ რადასთან შეთანხმებით. გენერალ-სეკრეტარიატი შევსებული იქნება, სამართლიანობის მიხედვით, უკრაინაში მცხოვრებ სხვა ერთა და დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით.

ეს ორგანო განახორციელებს ყველა იმ საშუალებათ, რაც კი უკრაინის ცხოვრებას და მის მართვა-გამგეობას შეეხება.

დროებითი მთავრობა აღიარებს რა, რომ უკრაინის ეროვნულ-პოლიტიკური მოწესრიგება და იქ მიწის საკითხის გადაწყვეტა საერთო ფარგლებში, მიწის მუშათა ხელში მიწის გადასვლის შესახებ, გადაწყვეტილ უნდა იქმნან დამფუძნებელ კრების მიერ, დროებითი მთავრობა თანაგრძნობით შეეგებება ცენტრალ რადას მიერ ამ საკითხების შესახებ შემუშავებულ იმ პროექტებს, რომლებიც დამფუძნებელ კრებაზე უნდა იქმნეს წარდგენილი. ცენტრალი რადაც იმნაირათ უნდა შეიცვალოს, როგორც გენერალ-სეკრეტარიატის შესახებ არის ზემოდ ნათქვამი.

დროებითი მთავრობა, უსაჭიროესად სთვლის, რომ ომის დროს ლაშქრის მთლიანობა არ დაირღვეს და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია ისეთი რამ საშუალების ხმარება, რაც ამ ერთობას და გამგებლობას დაარღვევს. მაგ. სამობილიზაციო სამართლის შეცვლა ეხლა, ისე რომ ლაშქრის შევსება ტერიტორიის მიხედვით მოხდეს ხოლმე, ან ჯარის გამგეობა ეხლავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჩაჰბარდეთ. ამავე დროს მთავრობა შესაძლებლად აღიარებს, რომ ისევ შეუწყოს ხელი უკრაინელთა უფრო მჭიდრო გაერთიანებას ჯარშივე ან უკრაინელთაგან ლაშქრის კერძო ნაწილების შედგენას, იმდენად კი, რამდენადაც ეს საშუალებანი სამხედრო მინისტრის განმარტებით, ტეხნიკურად შესაძლებელი იქნება და ლაშქარს არ დაასუსტებს.

ამ ჟამად, უფრო მიზანშეწყობილ და სახეირო შრომისათვის ამ საქმეში, დროებით მთავრობას ის მიაჩნია, რომ ამ საქმის განხორციელებაში თვით უკრაინელი მეომრები ჩაერიონ. ამისათვის, ცენტრალ რადასთან შეთანხმებით გაგზავნილ იქმნებიან განსაკუთრებით უკრაინელების დელეგატები—სამხედრო მინისტრის კაბინეტში, გენერალ-შტაბში და უმაღლეს მთავარსარდალთან. უკრაინელთა ადგილობრივ სამხედრო კომიტეტები კი თავიანთ ფუნქციებს საერთო დებულებების მიხედვით შეასრულებენ, ისე კი, რომ მათი მოქმედება სხვა სამხედრო ორგანიზაციების მოქმედებას შეეფერებოდეს.

# რუსეთი და უცხოეთი

### ბეტმან ჰოლვეგის მოადგილედ მიხაელისი.

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 2. ვოლფის ბიურო იუწყება: ბეტმან-ჰოლვეგის გადადგომა შეიწყნარეს;—მას „გოგენცოლლერთა სახლის" ორდენის დიდი ჯვარი ებოძა. იმპერიის კანცლერად და პრუსიის სამინისტროს პრეზიდენტად და გარეშე საქმეთა მინისტრად მიხაელისი დაინიშნა. ვილჰელმის ბეტმან-ჰოლვეგისადმი სამადლობელი წერილი გამოაქვეყნეს.

# აჯანყება პეტროგრადში

## პეტროგრადის საკუთარ კორესპონდენტისაგან

### კადეტების სამინისტროდან გასვლა.

სამინისტროდან გავიდნენ შემდეგი კადეტები: შინგარევი, მანუილოვი, შახოვსკოი და ნეკრასოვი. მათ განაცხადეს, რომ სოციალისტებს რუსეთი დაღუპვისაკენ მიჰყავთ და მათ შეცდომებს თავს თავზედ ვერ აიღებენ.

### სამხედრო ბუნტი

რამოდენიმე პოლკი ზინოვიევის და ბოლშევიკების მეთაურობით სავსებით შეიარაღებულნი ქუჩებში გამოვიდნენ სახელმწიფო სათათბიროს გარშემორტყეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ ყაზ ხ რუსების მიერ.

—

კრონშტადტის ჯარმა საინჟინერო კოშკი დაიპყრო და მთელი იარაღი ხელთ ჩაიგდო. კოშკი ამ ჟამად ყაზახების მიერ არის შემორტყმული და იერიშით აპირებენ მის აღებას. დიდი სისხლის ღვრაა მოსალოდნელი.

### „გოსტინი დვორი"-ს დარბევა

შეიარაღებული ჯარის-კაცები „გოსტინი დვორის" დარბევას შეუდგნენ. ქუჩებში სროლაა; მრავალია დახოცილნი და დაჭრილნი. ნევის პროსპექტი ბრძოლის ველად არის გადაქცეული. ყაზანის სობორო ბომბებით არის დაზიანებული.

### კერენსკის გაქცევა

აჯანყებულმა ჯარმა და ბრბომ სამხედრო მინისტრის კერენსკის დატუსაღება მოიწადინა, მაგრამ კერენსკი გაიქცა. ხმებია, რომ მისი მატარებელი გზაში დაიჭირეს.

### ბურჟუაზიული გაზეთების ტიპოგრაფიები ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს.

აჯანყების პირველსავე ხანში ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ბურჟუაზიულ გაზეთის ტიპოგრაფიები; მათ შორის „ნოვოე ვრემიას" ტიპოგრაფიის მთელი შენობა.

### პეტროგრადის ქუჩებში.

პეტროგრადის ქუჩები სავსეა დახოცილებით და დაჭრილებით. ყველა ხიდები დარღვეულია და მათ პულემიოტებით შეიარაღებული ავტომობილები დარაჯობენ.

### „გაუმარჯოს ნიკოლოზს"

გამოჩნდა რამოდენიმე ავტომობილი პლაკატებით: „გაუმარჯოს ნიკოლოზს", „გაუმარჯოს მონარქიას", „ძირს ანარქია". ავტომობილებში ყაზახებიც შენიშნეს.

### „პროლეტარიატის დიქტატურა.

ბოლშევიკებმა დეკლარაცია გამოაცხადეს, რომელშიდაც ითხოვენ მთელი უფლების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისადმი გადაცემას და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას.

# თბილისში.

გუშინ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი პირდაპირი მავთულით დაელაპარაკა პეტროგრადს იქ მომხდარ ამბების გამო. პრემიერ მინისტრის თ-დ ლვოვისაგან მოსული ტელეფონოგრამა იტყობინება, რომ პეტროგრადში შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. კერენსკიმ უვნებლად მიაღწია ბრძოლის ველს.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **გამომცემლების საყურადღებოდ.** ამას წინად საგაზეთო ქაღალდის დამნაწილებელ კამერამ დაადგინა, რომ ქაღალდის მისაღებად მოწმობები შემოიღოს. ეხლა ბეჭვდითი საქმის კომისარიატყობინებს გამომცემლებს, რომ მათ დეპეშით შეატყობინონ, ცალცალკე მარტის, აპრილის მაისის და თიბათვის ტირაჟი საგაზეთო ქაღალდისა. კომისარი მოითხოვს აგრეთვე გამოცემის ორ ნომერს და დასძენს, რომ გამომცემლები ამ საქმეზე სხვა ცნობას არ მიიღებენ ამ დეპეშის გარდაო. ვადა მარიამობისთვის 1-მდის არი. მისამართი: საქაღალდო კომიტეტს. პეტროგრადი.

◆ **სუფრები ტროტუარებზე.** აღმ. კომიტეტმა აუკრძალა „ფინჯან ჩაის" დ „ძმურ-ნუგეშს" სუფრების გამოტანა ტროტუარებზე. აკრძალვა იმით არის დასაბუთებული, რომ ქუჩაში გამოტანილი სუფრები ქუჩაში მოძრაობას აფერხებენ.

◆ **მეპურეების გაფიცვის გამო.** საკანდიტერო მეპურეების გაფიცვის გამო პროფესიონალურმა კავშირმა დაადგინა, რომ ზომები მიიღოს გაფიცვის შესაწყვეტად ამასთანავე დადგენილია, რომ მეკანდიტერეებს ნება არ ჰქონდეთ გაუფრთხილებლად ვისიმე დათხოვნისა; თუ კი ვისმე დაითხოვენ, მაშინ დათხოვილს სამი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს. ამას გარდა განზრახულია დაარსდეს მომრიგებელი კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებისა და პროფესიალურ კავშირისა.

◆ **სოხუმის არჩევნები.** სოხუმიდან მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს ატყობინებენ, რომ საქალაქო არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

◆ **კახეთის საუფლისწულო მამულებში** მუშები სთხოვენ მუშათა საბჭოს ზომები მიიღონ მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

◆ **სურსათის გატანა თბილისიდან.** როგორც სასურსათო კომიტეტის სდომაზე ნ. ელიავას მოხსენებიდან გამოირკვა, მოაგარაკეთ თურმე ბლომათ გააქვთ თბილისიდან შაქარი და სხვა სურსათი. კომიტეტმა დაადგინა: მისცეს თბილისიდან ერთი თვის ულუფა შაქრის გატანის ნება. შეიძლება აგრეთვე 20 გირვანქამდე პურის ფქვილის გატანა. დანარჩენი სურსათის გატანა კომიტეტს არ განუსაზღვრავს, თუ რა თქმა უნდა, ასეთ გატანას სპეკულიაციის ხასიათი არ ექნება.

◆ **ჩაის გაზიდვა.** უკანასკნელ ხანებში ჩაი სრულიად აღარ მოდის თბილისში, ხოლო აქედან-კი დიდი გულმოდგინებით გააქვთ ჩაი პროვინციებში. ჩაის მყიდველები და გამგზავნელები არავითარ ხარჯს არ ერიდებიან. თბილისში ჩაის რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა და მოსალოდნელია, რომ ცოტა ხნის შემდეგ სრულებითაც ველარ იშოვის კაცმა ის. ამიტომ ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ფოსტის კანტორას და რკინის გზის სადგურებს, რომ სრულებით არ მიიღონ სარავისაგან ჩაი სადმე გასაგზავნად.

## კავკასია

◆ **უკრაინის** ცენტრალურმა რადამ დაადგინა მოიწვიოს არა უგვიანეს ამა თვისა კიევში რუსეთის ერთა წარმომადგენელნი, რომლებიც მოითხოვენ ავტონომიას და ფედერაციას. ჰფიქრობენ რომ კონფერენციას დაესწრებიან ფინები, პოლონელები, ესტონელები, ლატიშები, ლიტველები, ბელორუსები, ქართველები, თათრები, სომხები, ყალმიკები, ბაშკირები, სართები, მთიელები, თურქები, აგრეთვე დონელები, ციმბირელები და სხვანი. თითოეულ ერს მიუხედავად მისი რიცხვისა, ტერიტორიის რაოდენობისა და კულტურულ განვითარებისა დაეთმობა ათი ადგილი.

◆ **შავის ზღვის რკინის გზის კომისარი.** შავი ზღვის რკინის გზის კომისარად დაინიშნა სოც.-დემოკრატი ჩხაკვაძე. ფოსტა და ჩქარი მატარებლის ამიერ-კავკასიის რკინის გზის კომისარმა შეატყობინა ფოსტა-ტელეგრაფის მართველობას, რომ შეუძლებელია ჩქარ მატარებლებს საფოსტო ვაგონი მოება.

◆ **ახალი კომისარი.** კავკასიის საარტილერიო ოლქის კომისარად დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი კაპიტანი დრელკოვსკი.

## პროვინცია.

◆ **ქურდობა სოფლად.** ცხინვალის მხარეში მოდუნებულმა მმართველობამ ქურდობა და გზაში მგზავრების ცარცვა გაახშირა. ს. გუჯაბაურში მესაფქვავეებს მოჰპარეს უღელი ხარი და უღელი კამეჩი. კეხვის გზაზე გაცარცვეს ურიები და წაართვეს 600 მანეთი. თიბათვის 12-ს ღამე ქურთაში ალექსანდრე დ. მაჩაბელს გაუღეს კლიტით დაკეტილი ბაკი, ერთი ფაშატი ცხენი და ორი კვიცი მოჰპარეს. მდევარი არავინ გამოუჩნდა. სოფელი ძალიან შეწუხებულია.

—

◆ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ მე-144-ე №-ში ინ-ჭანის მოთხრობის მე-2-ე სვეტის მე-39-ე სტრიქონში—ბოლოდან—დაბეჭდილია „მთებს" უნდა იყოს „მთიებს".

იმავე ნომერში, ქრონიკაში „მ. მურვანიშვილის გასამართლება": სწერია დაღესტნის ტყის უფროსი, უნდა იყოს წალვერის ტყის უფროსი.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომრის „ქართულ პრესაში" „ალიონიდან" გადმობეჭდილი წერილი პ. საყვარელიძეს კი არა, პ. ქავთარაძეს ეკუთვნის.

გუშინდელ ნომრის მეთაურში ნახსენებია ბათომის „ნობელის" ქარხანა, უნდა იყოს „როთშილდის".

გუშინწინდელ ნომერში დაბეჭდილი წერილი აგრონომ **გამხარაშვილის მოხსენებიდან არის გადმოკეთებული** რედაქციის მიერ და შეცდომით არის ხელმოწერილი.

# დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია კავკასიაში

ამ კომისიას ევალება:

1) აცნობოს მის უწყებაში მყოფ ორგანიზაციებს ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც საარჩევნო ოლქების საარჩევნო რაიონებად დაყოფა შეიძლება.

2) უჩვენოს საარჩევნო სიების შედგენის წესები.

3) შეადგინოს აღწერისათვის საჭირო ბლანკები და ყველა ადგილობრივ ორგანოებს დაურიგოს.

4) გამოარკვიოს აღწერის მიხედვით რიცხვი ამა თუ იმ საარჩევნო ოლქის დეპუტატებისა.

5) აღმოუჩინოს დახმარება საარჩევნო საქმეებისათვის ფულით.

6) საერთოდ თვალ-ყური ადევნოს არჩევნებს.

კომისიას უფლება ეძლევა ადგილობრივ კომიტეტების მიზან შეუწონელი და უკანონო გადაწყვეტილებები შესცვალოს.

კომისიამ დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკასიის კომიტეტს დამფუძნებელი კრების არჩევნების წესის გამოქვეყნება, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ხუთსავე საარჩევნო ოლქებში დაცულ უნდა იქნეს არჩევნების პროპორციალი წესი. აგრეთვე დაადგინა შეეკითხოს დროებით მთავრობას—დეპუტატთა რიცხვი ამიერ-კავკასიიდან განსაზღვრული იქნება თუ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით იქნება განმარტებული. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება საყოველთაო აღწერა. საარჩევნო ოლქები თავის მხრივ საარჩევნო რაიონებად დაიყოფა.

ასეთ რაიონის საფუძვლად დადგენილია მიღებულ იქმნას სოფელი არა უმეტეს 2000 ამომრჩევლისა, ამომრჩეველთა დიდი რიცხვიანი სოფელი გაიყოს ორ, ან მეტ რაიონად; თვითეულს საფუძვლად დაედოს არა უმეტეს 2000 ამომრჩეველისა. ხოლო ორ სოფლის შეერთება უნდა მოხდეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ იმ პირობით, თუ სოფლები ბევრით არ არიან დაშორებულნი ერთიმანეთთან. ამომრჩევლობითი სიები უნდა შედგენილ იქმნას რუსულად და თუ შესაძლებელი იქნება ადგილობრივ ენაზედაც. წინასწარ ხარჯებისთვის დადგენილია ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ჯერ-ჯერობით 5000 მანეთი ეთხოვოს.

# კოოპერატივები და სასურსათო კომიტეტები

ამ ჟამად არსდება სასოფლო სამაზრო სასურსათო კომიტეტები. დღევანდლამდე, ამ თანამდებობას ასრულებდნენ კოოპერატივები. დღეიდგან კი, ეს საქმე კომიტეტების ხელში უნდა გადავიდეს. ვინც ჩვენ ცხოვრებას უკვირდება, მისთვის ცხადია, თუ ამ უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში რა დიდ სამსახურს უწევდა ხალხს კოოპერატივები. კითხულობს ადამიანი და პასუხი ვერ მიუღია თუ რათ აშორებენ კოოპერატივებს ამ საქმეს? კოოპერატივებს დღეს ჩვენი ხალხი უკვე ნდობის თვალით უცქერის, კოოპერატივის გარშემო მოიყარა სოფელში დარჩენილმა ინტელიგენტურმა ძალამ და შეერთებული ღონით ეწევა მის ჰაპანს; კოოპერატივებს უფრო მჭიდრო ნიადაგი ეყრება და მომავალშია მისი ნაყოფი. ყველა ამისდა მიუხედავად, დღეს მას სასურსათო საქმეს ხელიდგან აცლიან, რაიც ცოტა არ იყოს იქვს დაჰბადებს ხალხის გულში კოოპერატივებისადმი. შესაწყნარებელია ასეთი საქციელი თუ იგი ხელსაყრელი მაინც იქნება ხალხის კეთილდღეობისთვის და საქმეც უფრო კარგად დადგება, ვიდრე ეს კოოპერატივებშია; მაგრამ საქმე შემდეგია: ახლად დაარსებულ სასურსათო კომიტეტებს ახლად მოწყობა, გამგეობის არჩევა, საქმის მწარმოებელი, სადგომი, საწყობი და სხვა რამ დასჭირდებათ. ყველაფერი, რაც კი საჭიროა საქმის საწარმოებლად და რაც საკმაო ხარჯებთან არის შეერთებული. მარტო საქმის მწარმოებელი მას დაუჯდება თვეში 100—150 მანეთამდე გარდა გამგეობის ჯამაგირებისა და სხვა ხარჯებისა, რაიც მხოლოდ შეძენილმა სურსათმა უნდა აანაზღაუროს (რადგან მას სხვა შემოსავალი არ ექნება). ამის გამო სოფლის კომიტეტს შეძენილი სურსათი საკმაო ძვირი უნდა დაუჯდეს. თუ მხედველობაში მივიღებთ სურსათის ნაკლულევანობას, რაიც, აშკარაა, დიდი იქნება, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ მცირედმა შემოტანილმა სურსათმა უნდა გაისტუმროს კარგა ზომიერი ხარჯები. ამისათვის სასურსათო საქმის გამოყოფა კოოპერატიულში ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს ხალხს და იგი შეცდომაა, რადგან კოოპერატივები, როგორც ზევით ვსთქვი უკვე კალაპოტშია ჩაყენებული. მათ უკვე ყველაფერი მზად აქვთ, რაც ახალ კომიტეტს უნდა დასჭირდეს. ამ საქმისთვის კოოპერატივები სხვა ახალ ხარჯს აღარ უმატებენ, რომ ეს ხარჯი შემოტანილ სურსათს დაეკისროს გადასახადათ. ასე რომ, კოოპერატივებს ის შემოტანილი საქონელი, რომელსაც ახლად დაარსებული კომიტეტები მიიღებენ, გაცილებით იაფი დაუჯდება, ვიდრე კომიტეტებს. გარდა ამისა, ახლად დაარსებულ კომიტეტების ხელში არ იქნება ფული, რაიც გაურთულებთ საქმეს, მაშინ, როდესაც კოოპერატივები ამ მხრივ უზრუნველყოფილნი არიან და მესამე, სოფლის სასურსათო კომიტეტის დაარსებით სოფლის ისედაც მცირე ინტელიგენტური ძალა იფანტება და საქმეს იგი კარგად ვეღარ უძღვება, როგორც ეს ხდება მაშინ, როდესაც რამდენიმე ერთგვარი საქმე ერთ დაწესებულებაში კეთდება და დრო არ იკარგება.

სასურველია ყველა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ლ.

# ქართული პოლკი

1914 წ. როდესაც ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, შესდგა ორი ქართული დრუჟინა, თბილისში და ქუთაისში. 1915 წ. იანვარში, დრუჟინები გაგზავნეს ქ. ბათომში. აქ ეს თებერვალს უკვე გაისტუმრეს ბრძოლის ველზე. ქუთაისის დრუჟინა გენერალმა მილერმა დასტოვა ხულო-ბაზარში თავისთან, თბილისის დრუჟინა და ქუთაისის ერთი ასეული გაგზავნეს წინა პოზიციაზე. ამ დღიდან იწყება ამ დრუჟინების მოღვაწეობა.

ბევრი ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდენ ამ დრუჟინებს, მაგრამ ისინი მაინც ნაკისრებ საქმეს ერთგულად ემსახურებიან.

იყო შემთხვევა, როდესაც სხვა ჯარმა უარი სთქვა „მელოს" აღებაზე და თბილისის დრუჟინამ კი იკისრა და დიდი სხვერპლიც გაიღო ამ შეტევის დროს, მაგრამ მაინც დაიპყრა. სამაგიეროდ არავითარი პატივის ცემა, არავითარი შებრალება, სულ უნდობლობა, მოღალატეს სახელის ტარება და სხვა. ერთი სიტყვით ბევრჯელ უთქვამს გენერალ მილერს „სამოწყალოდ გინახავთო". ჩვენთვის არც ტანისამოსი იყო, არც ფეხსაცმელი.

შემდეგ ეს დრუჟინები ქართულ პოლკად გადააკეთეს. პოლკი შესდგა პოლკოვნიკ კვინიხიძის უფროსობით. გაიგზავნა სპარსეთში. სპარსეთში არ არის არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, რომ ჩვენი სისხლი არ იყოს დაღვრილი. სამი წელიწადია ჩვენთვის არც ტანისამოსია, არც ფეხთსაცმელი, არ ვიციით რა დავაშავეთ..

ივნისში ამ პოლკმა აიღო 6 სოფელი და 1 ქალაქი, წინ წაიწია 50 ვერსით. ასტანელ სიცხეში ჯარის კაცებს საზამთრო ტანთსაცმელი აცვიათ. ბამბიანი ძიძები და ბამბიანი ქუდები. ეს იწვევს ავადმყოფობას და დღიურად ვმარხავთ ოთხ-ხუთს. ერთი სიტყვით ჯარი უკიდურეს მდგომარეობაშია. დაავადმყოფებული, ჩაუცმელი, დაქანცული. ამ ჯარს ეხლა ესაჭიროება დასვენება, მოწყობა.

დელეგატი ჯ.-კ. ხ. ხურციძე.
(„ერთობა").

# სიტყვა

### თქმული ამიერ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის კურთხევაზე 1917 წ. მკათათვის 2-ს დეკ. თალაკვაძის მიერ.

ამ სიგრძე სუსხიან ზამთრის ღამის შემდეგ თითქოს ჩვენთვისაც თენდება, საყვარელნო! გაზაფხულის მზე თავისუფლებისა ბრწყინვალებს უკვე რაღაც სეთის ფართოდ გადაჭიმულ ცაზე! მან კაი მაღლობზე წამოიწია კიდეც და გაჰფანტა ღამე ბნელი. შუქი მისი საამო სიცელქით მოადგა ბუმბერაზ კავკასიონის ჭაღარით მოსილ მწვერვალებს და იქიდგან მძლავრად იფეთქა ტურფა საქართველოს ლაჟვარდოვან ცას კამარაზედაც.

ამ ნათლით მოსილ თავისუფლებას წინ მიეგება ჩვენი მზე, ჩვენი მთვარეცა. ამათ მხარი უმშვენეს პირ-მცინარე ვარსკვლავებმაც და მათ საერთო სხივებში თვალ-წარმტაც სურათებად დაიფერა ჩვენი წალკოტი ქვეყანა!

დღესასწაულობს ყოველი, ხილული და უხილავი. გაიმართა ბუნების საუცხოო მეჯლისი! გარნა ამ ბუნების მასპინძელი, ჯერ კიდევ მონობის უღლიდგან გამოურკვეველი ქართველი ერი, ისევ რაღაც ყოყმანშია. მას ისევ ჩრდილოეთისაკენ მიუპყრია თვისი სევდით ღვსილი თვალები და ეკითხება: „ნუ თუ მიენიჭება ქართველ ერს, ბედნიერება"?! გარნა „გამოხმობა მთის იქიდგან გადმოგვძახის -შეიძლება...

ღისხაც რომ „შეიძლება„! პირ-იქით, დროა კიდეც, რათა ესა და სხვა მრავალ გვარი „შესაძლებლობა" მიმდინარე ისტორიულ დიად მომენტისაგან წამოყენებული ხორცს-შე ხმის და განსახიერების გზა-კვალზე დავაყენოთ. ჩვენ აღარ გვშართებს კვლავ სხვის ხელით შემხედვარება—ვინ რას და ან როდის გვიწყალობებს, ან გადმოგვიგდებს! ახალ საქართველოს ეს არ ეკადრება! ეს მისთვის არც ეგრაგება!

რუსეთის დამონებულ ერთა განთავისუფლების და აღორძინების პროცესი აღარ იცდის, ის ჩქარის ნაბიჯით მიიწევს წინ და თუ მას ჩვენი ერი ჩამოჩა, ამას აღარ გვაპატიებს არც ისტორია და აღარც შთამომავლობა. უნდა გვახსოვდეს, რომ აწინდელი ისტორიული გარდაქმნანი ჩვენთვის, კერძოდ ქართველების თვის, აღარ განმეორდება! ამ „შესაძლებლობის" ხანაში ვინც რასაც აიღებს, დიდი ხნით მხოლოდ ის და შერჩება! ეს არის ბუნება და წესი რევოლიუციისა. .

ამისთვის გვმართებს მოძრაობაში მოვიყვანოთ მთელი ჩვენი ეროვნულ სხეულის ძალღონე, რათა ფეხ და ფეხ ვსდიოთ ამ იშვიათ დროის პოლიტიკურ-სოციალურ სრბოლას.

ქართველმა ერმა, როგორც თვის ძველ-ძველ ისტორიულ წარსულში, ისე აწ უკვე დამხობილ მონობის ხანაში და თვით ამ დიდ რევოლიუციის შექმნა-წარმოებაშიაც საკმარისი ნიჭი, კულტუროსნობა, მედგრობა, იშვიათი სულის სიმტკიცე, გამჭრიახობა და ბრძოლაში რაინდული შეუპოვრობა გამოიჩინა.

ქართველობამ ყოველივე ამით ჯეროვნად დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ მასაც აქვს უფლება ახალ ხანაშიც საპატიო ადგილი დაიჭიროს, შინ თუ გარედ; რომ ის ღირსეულად დაიჩაგვრინება, მასაც სწყურია ჯეროვანი შრომისა, ის ღირსეულად ასეთ შრომისისა და თვით კაცობრიობის ერთა თაიგულში ქართველობაც ერთ საამო დაუჭკნობელ სურნელოვან ყვავილად ჩაეკონება!

ყველანი ვხედავთ და ვამჩნევთ, რომ ბრძოლა მოპოებულ საერთო თავისუფლების განსამტკიცებლად ჯერ კიდევ არ დასრულებულა, პირიქით, საჭიროა მისი უფრო გაფართოება და გაღრმავება. მაგრამ ამასთანავე ერთად, დროა კიდეც თანდათან, შიგა და შიგ საკუთარ ეროვნულ საქმეებსაც მივხედოთ ხოლმე. დროა აწ უკვე დამხობილ დესპოტიისაგან აოხრებულ სამშობლოს მოწესრიგებისა, მისი არსებაში მოყვანისა,—დროა მძლავრად შერყეულ და მინელებულ ეროვნულ კერის გამაგრება-გაღვივებისა,—უმაგალითო ომისაგან აწიოკებულ ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებისა!

ქარიშხალისაგან პერ-მოგლეჯილ სამშობლოს ისევ გადახურვა სჭირია, გუმბათ გადამტვრეულ ჩვენ მხცოვან ნაამაგდარ ეკლესიას ისევ აღმართვა უნდა! ეს ხომ ჩვენი ნამუს-სინიდისის ფაქიზი საკითხია! ამიტომ ვერ დავსტოვებთ მას, ასე ვსთქვათ, შუა წყალში,—მტრის სასაცილოდ, ხოლო მოყვარეთა სავალალოდ.

დაგვიდგა საქმიანობის ხანა, რომ სიტყვა საქმედ ვაქციოთ, ვიბრძოლოთ შინ თუ გარედ მიზან-შეწონილად, შეგნებულად,—ვქმნათ სიკეთე და ვსძლიოთ ბოროტება. ბრძოლა მხოლოდ ბრძოლისათვის და დაუსრულებელ ქიშპობა ქიშპობისათვის, — ეს ხომ უზნეობაა, ეს გამათახსირებელ-დამღუპავია ახლად ფეხ-ადგმულ თავისუფლებისა.

მართალია აუცილებელ სინამდვილით სწარმოებს კლასთა, წოდებათა და სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა ბრძოლა, მაგრამ ასეთ ბრძოლაში გამწვავება და ურთიერთთა სიცოცხლის ჩაზხამება როდი ვამართლებს. ძალმომრეობა, გაბატონება, დათრგუნვა-დამონავება ერთი-მეორესაგან,—თუ ყოველივე ეს შეუწყნარებელი და აღმაშფოთებელი იყო ჩვენთვის ძველ, დრო-მოჭმულ, აწ უკვე დამხობილ, წეს-წყობილებაში,—მით უფრო შეუსაბამოა ეს დღეს, როდესაც ფეხი გადავსდგით ახალ სოციალურ-მოქალაქობრივ ცხოვრებაში და საყოველთაოდ გამოცხადდა ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

ეს ხომ ქრისტიანულ მოქალაქობის და ურთიერთობის ძირითადი დებულებანია! მაშასადამე ამ დებულებათა შინაარსიც ქრისტიანული უნდა ვიწამოთ, თორემ გამოვა რაღაც უსულგულო სიტყვათა რახა-რუხი და სხვა არაფერი!

ეს შინაარსია მომქმედი სიყვარული, როგორც უმთავრესი პრინციპი ადამიანთა ურთიერთობისა, — მოყვასისათვის (ვინც უნდა იყოს ის) თავდადება, სხვისი დაზოგვა, გარნა თვისი თავ-განწირვა, სხვისთვის მშვიდობა, მშვიდობის ყოფა, ხოლო თვისთვის დევნა, ყვედრება და ყოველივე სიტყვა ბოროტი! „თუ შეიძლოთ, ყველა ადამიანთან მშვიდობა იქონიეთო“,—გვასწავებს წმ. მოციქული პავლე!

ცხადია, ჭეშმარიტი მოქალაქობა და ურთიერთობა კაცთა შორის უნდა მყარდებოდეს შეგონებით, შესმენით, შეგნებით, ნება-ყოფლობით, თავისუფლად და არა ძალადობით. ბოროტება უნდა იძლიოს სიკეთით! ის, ვინც სიკეთის მოციქულობას ჩემულობს, თვით უნდა იყოს კეთილი, თუ გინდ ეს მას სიცოცხლედაც დაუჯდეს! „რაც შენთვის არ გინდოდეს, იმას ნურც სხვისთვის ისურვებო“,—გვასწავებს წმ. მოციქულთა კრება!

აი, საყვარელნო, ძმობა, ერთობა და თავისუფლების შინაარსი!

(დასასრული იქნება)

# აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია

მოგეხსენებათ აფხაზეთის სამღვდელოებამ გადასწყვიტა აღადგინოს ავტოკეფალია აფხაზეთის ეკლესიისა, ამიტომ ურიგო არ იქნება მცირედ მაინც გავიხსენოთ წარსული აფხაზეთის ეკლესიისა.

აფხაზეთი აქვანია დიდებული საეკლესიო ნაშთებისა და არხეოლოგიისა. გაიხსენეთ დიდებული ტაძრები პიცუნდისა, აშენებული იმპერატორ იუსტინესაგან 551 წელს, დრანდა, ილორი, მიქვ, ბედია და სხვანი, რომელნიც საკვირველებას წარმოადგენენ დღევანდელის არქიტექტორისთვის და ნათელი იქნება თქვენთვის თუ რანაირი ღირსებისა არის აფხაზეთის ნაშთები. ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ეს ტაძრები უმდიდრესნი იყვნენ შინაგანის მოწყობილებით და სამკაულით. ფას დაუდებელია ბედიის, დღეს ილორის, ოქროს ბარძიმი, პიცუნდის ღვთის მშობლის ძვირფასი ხატი, რომელიც დღეს გელათის მონასტერში ინახება, აგრეთვე სვანეთში შენახული დრანდის მონასტრის ხატი წმ. იოანესი და სხვა მრავალი მისთანანი, ჩვენ მხოლოდ გარდა ამისა ვიტყვით, რომ აფხაზეთი იმ წმ. ადგილად ითვლება სადაც გარდმოცემით ასაფლავია იოანე ოქროპირი და უქადაგნიათ ქრისტიანობა მოციქულებს ანდრია პირველწოდებულს და იოანე კანანეველს. აი ამ უკანასკნელთ პირველად შემოუტანიათ სხივი ქრისტიანობისა აფხაზეთში, მაგრამ შემდეგში ბერძნებს და უფრო ქართველებს განუმტკიცებიათ ქრისტიანობა. აფხაზეთის ეკლესია საქართველოს კულტურულ გავლენის ქვეშ იყო მთელის თვისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში. ქართულად სწარმოებდა წირვა-ლოცვა და მღვდელმსახურება აფხაზეთში, ქართული მწიგნობრობა იყო დამკვიდრებული მონასტრებში და ქართულივე წარწერანი აქვთ როგორც ეკლესია-მონასტრებს აგრეთვე სხვა ნაშთებს.

ასეთს ძლიერს ქართულ კულტურის გავლენის ქვეშ იყო აფხაზეთი, მაგრამ ამავე დროს არ იყო მოკლებული თავისიანობას. როგორც მოგეხსენებათ აფხაზეთის ეკლესია ერთს დროს და კარგა დიდ ხანსაც სრულიად დამოუკიდებელიც იყო საქართველოს ეკლესიისაგან და თავისი საკუთარი საკათალიკოზო ჰქონდა პიცუნდაში, რომელსაც ექვემდებარებოდენ აფხაზეთის გარდა სამეგრელო, გურია, სვანეთი და სხვანი. ეს კათედრა კათალიკოსისა დაარსდა მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში და არსებობდა თითქმის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდის. ცნობილნი არიან აფხაზეთის კათალიკოსნი მალაქია, ევდემონი, ექვთიმე, მალაქია II, მაქსიმე და გრიგორი, ზაქარია და სხვანი, სულ რიცხვით თექვსმეტამდის. უკანასკნელი კათალიკოსი აფხაზეთისა იყო მაქსიმე II, რომელიც გარდაიცვალა კიევში 1795 წელს.

გარდა ამისა თვით აფხაზეთში იყო მეათე საუკუნის დასაწყისიდან შემდეგი ეპისკოპოსთა კათედრები: გაგრაში, პიცუნდაში, სოუხ-სუში, ანაკოპიაში, გუმში, სუხუმში (ცხუმში), დრანდაში, ილორში, მოქვში, ბედიაში.

მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და მით საზოგადოთ კავკასიის ბედიც გადასწყდა, აფხაზეთმაც ვეღარ მოისვენა, ერთის მხრით რუსეთი და მეორეს მხრივ ოსმალეთის პროპაგანდის ქსელში გახვეულს ეკლესიისთვის აღარა სცალოდა, საეკლესიო საქმეც მიყუჩდა და დავიწყებას მიეცა. კავკასიაში რუსეთის ფეხის მოკიდების შემდეგ აფხაზეთმა ვეღარ მოისვენა, ბევრმა ქარტეხილმა და გრიგალმა გადმოიარა მის თავზედ, ბევრმა შავმა დღემ დაუქროლა და წალეკვასა და განიორწყალებას უქადა. ამ ქარტეხილმა და გრიგალმა თუმცა სულით და სილაღით ძლიერს აფხაზს ქედი სავსებით ვერ მოახრევინა, მაგრამ სამაგიეროდ გაანახევრა იგი და ძალზედ შეასუსტა. მრავალი აფხაზი ვერ შეურიგდა რუსეთის ბიუროკრატიის მუხრუჭებს, რუსეთის ორთავიანს არწივს გაექცა და ოსმალეთს შეაფარა თავი. უკანასკნელ რუს-ოსმალეთის ომის შემდეგ მაინც ამ გადასახლებამ ოსმალეთში ეპიდემიური ხასიათი მიიღო და მრავალი ადგილი დაცარიელდა და გაპარტახდა.

ამასთანავე დაცარიელდა და დაეცა ეკლესიაც. მრავალმა მამა-პაპათა სარწმუნოებას ზურგი შეაქცია და ისლამი ამჯობინა. დღეს ნახევრად გაცამტვერებულს აფხაზეთში სულ 23 აფხაზთა სამრევლოა არის, რომელსაც რასაკვირველია თუ არ მივმატებთ სამოცამდის მეგრელთა სამრევლოს სამურზაყანოში.

აი ამ მცირე რიცხვს ეკლესიებისას, აფხაზეთისას, რუსეთის სინოდმა ყოველივე იღონა, რომ როგორმე ქართული სული ამოეხადა და თავისი მონა-მორჩილი გაეხადნა. საქმე იმითი დაიწყო, რომ ყველა აფხაზს, რომელსაც სასულიერო სემინარიაში შესვლა სურდა და თბილისის სემინარიისაკენ კარს უხშობდა და რუსეთის სემინარიებისაკენ უთითებდა, რათა თბილისში ქართველებისა არა გადაედოსრა და სრული მორჩილი იყოს რუსეთის ბიუროკრატიული სინოდისო. ერთმა მღვდელმა მითხრა სტავროპოლის სემინარიაში გამგზავნეს სასწავლებლადო, ბევრს ვეცადე თბილისის სემინარიაში გადავეყვანეო, მაგრამ მუდამ იმას მიპასუხებდნენ აფხაზებისათვის იქ ვაკანსია არ არის. ამის შემდეგ რუსეთის სინოდმა ხომ ქართული წირვა ლოცვაც აკრძალა აფხაზეთში და აფხაზური შემოიღო, რათა სამუდამოდ ჩამოეშორებინა საქართველოს ეკლესიისათვის.

დღეს ამ ცხოვრების ყოველგვარი მხარეების განახლების დროს აფხაზეთსაც სასულიერო კაცთა თუ ერის კაცთ ყველას ერთმხრივ მოუწადინათ აღადგინონ საკუთარი ავტოკეფალური ეკლესია. ამის გამომხატველია უფრო ახალგაზრდობა, რომელიც სულით და გულით მონდომილია აფხაზეთის აღორძინება-განახლებისა. შესაძლებელია საკუთარ ავტოკეფალურ ეკლესიასთან ერთად გაერთიანდეს მთელი აფხაზეთი, ისევ თავის წინაპართა ეკლესიას დაუბრუნდეს და მით აფხაზეთს ახალი სული და ახალი ცხოვრება ჩაჰბეროს, ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ აფხაზი ჯერ კიდევ სავსებით არ გამუსულმანებულა და ყოველივე ქრისტიანული წესი და ადათი მათში დღესაც ტრადიციით სიწმინდით არის დაცული. ვუსურვებთ ახალგაზრდა აფხაზებს სულით და გულით თავიანთი წადილის განხორციელებას და მასთან ერთად მათ მეზობელსა და დიდად მათთვის მუდამ მოპირანხულე და მოამაგე საქართველოს ეკლესიასთან მეგობრობასა და კეთილ-განწყობილების არ დაივიწყებას.

ზ. ედილი.

# პროფ. ბენეშევიჩი

ჯერ არც კი გამობრუნებულა საქართველოდან პროფ. ვ. ნ. ბენეშევიჩი და მრავალტანჯულ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უკვე ირყეოდა. დროებით მთავრობისაგან ივერიის ეკლესიის საქმეთა კომისრად დანიშნულ პროფ. ბენეშევიჩს ქართველები დიდის სიყვარულით და ნდობით შეეგებნენ. ტერიტორიალურ ავტონომიის მარად მოსურნე ქართველებმა ანგარიში გაუწიეს დროებით მთავრობის იმ გარდაწყვეტილებას, რომლითაც ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური უფლებანი ნაციონალურ ნიადაგზე აღადგინა. ასეთ გარდაწყვეტილებას „ივერიის ეკლესიის რუსეთის სახელმწიფოში უფლებრივ მდგომარეობის ძირითადი დებულებანი“ მოჰყვა, რასაც ხელი მოაწერეს როგორც დროებით მთავრობის წარმომადგენელმა ბენეშევიჩმა ისე ივერიის ეკლესიის დროებით მმართველობამ. ეს „ძირითადი დებულებანი“ ბენეშევიჩმა ჯერ ისევ ამ წლის აპრილის 18-ს გაგზავნა დეპეშით პეტროგრადს და თან მის დამტკიცებას ითხოვდა.

მართალია- პროფესორ ბენეშევიჩის საქართველოში მოქმედებამ მრავალ ქართველს აფიქრებინა, რომ პატივცემული პროფესორი პობედონოსცევის სინოდალურ კანტორის ჩინოვნიკს უფრო ჰგავდა, ვიდრე რევოლიუციონურ მთავრობის კომისარს, მაგრამ რას წარმოიდგენდნენ, ქართველები თუ ის პროფესორი, რომელიც თავის თავს ქართველების მოტრფიალედ აცხადებდა, ითხოვნებს აფრენდა პეტროგრადს თავისივე ხელმოწერილ და გაგზავნილ „ძირითად დებულებების“ დამტკიცების შეჩერებას მოითხოვდა! მალე (ბენეშევიჩის ასეთ მოქმედების სრულიად უცოდინარმა) ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის მთელ შემადგენლობამ ბენეშევიჩს უტაქტიკო მოქმედებით ივერიის ეკლესიის საკითხის გამწვავების გამო, დეპეშით სთხოვა დროებით მთავრობას „ძირითად დებულებების“ დაუყოვნებლივ დამტკიცება და დეპეშითვე ცნობა.

მეტად საყურადღებოა, რომ ამიერ-კავკასიის კომიტეტის დეპეშას ხელს აწერდა თვით პროფესორი ბენეშევიჩი, მაგრამ თანაც, როგორც სჩანს, გულმოდგინეთ სთხოვდა მთავრობას მის ჩასვლამდის „ძირითადი დებულებები“ არ დაემტკიცებინათ. ეხლა პრ. ბენეშევიჩი უკვე პეტროგრადსაა, და, ალბად, „ძირითად დებულებები“-ს (იმ სახით, რა სახითაც თბილისში შემუშავდა) დამტკიცების წინააღმდეგ მოქმედობს.

ვამბობთ, ალბად, რადგან „ბირჟ. ვედ.“ № 16291-ში (ამ წლის თიბათვის 19-ს) „საეკლესიო საქმეები“-ს განყოფილებაში დაიბეჭდა შენიშვნა „ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ“. შენიშვნა იმ აზრს გამოსთქვამს, რომელსაც ბენეშევიჩიც გამოსთქვამდა თბილისში.

აი ეს შენიშვნაც:

„უმაღლეს სასულიერო წრეებმა ცნობა მიიღეს იმ ფორმაზე რომელშიაც ჩამოყალიბდება ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია და რომელიც უწმ. სინოდმაც პრინციპიალურად მიიღო.

სინოდმა კავკასიაში ბენეშევიჩი საგანგებო კომისარად გაჰგზავნა. მას სპეციალად დაევალა ივერიის საეკლესიო წრეებთან მოლაპარაკება—შეთანხმებით, ავტოკეფალიის საკითხი დაწვრილებით შეემუშავებინა. ამ ჟამად გამოირკვა, რომ ივერიის ეკლესიის მმართველ ცენტრად მცხეთა იქნება აღიარებული.

ჩვენ შეგვიძლიან უნამდვილეს წყაროების მიხედვით, გაუწყოთ, რომ ივერიის ეკლესიის მმართველობის ფორმა, იმ სახით, რა სახითაც ადგილობრივ ე. ი. საქართველოში შემუშავდა, პეტროგრადის უმაღლეს სასულიერო წრეებს არავითარ ოფიციალ ცნობით არ შეუტყვია, მაშასადამე არც პრინციპით და არც უპრინციპოდ ამ ფორმას სინოდი ვერ ცდიარებდა. უწმიდეს სინოდს ბენეშევიჩი არავითარ სპეციალურ დავალებით არ გაუგზავნია საქართველოში. საქართველომ დანამდვილებით არ იცოდა, მაგრამ დროებით მთავრობის კომისარს რომ სინოდის ზოგიერთ წევრების ფარული სპეციალური დავალება ჰქონდა—ეს არამც თუ შესაძლებელია, არამედ მის (ბენეშევიჩის) თბილისში მოქმედებამაც ნათლად დაგვიმტკიცა.

ამასთან ერთად, შესაძლოა, რომ სინოდის კომისარ პროფ. ბენეშევიჩს და მის ფარულ მესაბჭოეთ ივერიის ეკლესიის მმართველობის ცენტრად უკვე მცხეთა ჰქონდეთ სახეში. ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ დროებით მთავრობის კომისარ ბენეშევიჩის და თვით ივერიის ეკლესიის დროებითი მმართველობით შემუშავებულ „ძირითად დებულებების“ მე-7-ე მუხლის ძალით ასეთ ცენტრად ქ. თბილისია აღიარებული.

რადგან დროებით მთავრობამ ივერიის ეკლესიის ნაციონალურ საფუძველზე ავტოკეფალობა აღიარა, ამიტომ, რა თქმა უნდა, ქართველებს იმის საწინააღმდეგო, რომ რუსის იერარქმა ქ. თბილისში იცხოვროს არა ექნებათ რა, მაგრამ ივერიის ეკლესიის მმართველობის ცენტრად თბილისის უარყოფას ქართველები ვერ შეურიგდებიან.

ვურჩევთ პროფ. ბენეშევიჩს, რომ მოიხსნას დროებით მთავრობის კომისრად წოდება; მოიხსნას ქართველთაფილობის ნიღაბი და განახლებულ რუსეთის წინაშე სინოდალურ კანტორის კომისრის სახით წარსდგეს (როგორც მას „ბირჟ. ვედ.“ ჰხატავს, და ვის სახითაც მართლა იგი საქართველოში მოქმედებდა).

„პეტ. ფედ“.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ |
| ბოროჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.12 | საღ |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

# „ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—5 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

# ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—5 კომიტეტი ქ. ს. კ.

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

# „თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან უოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ განშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მახალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში

ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა ის. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.

| | | |
|---|---|---|
| 6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. | | ალ. ჯაფარიძისა, |
| 7) „ „ „ II „ | | ს. დათეშიძისა |
| 8) „ „ „ III „ | | ალ. მგალობლიშვილისა. |

**მზადდება გამოსაცემად:**

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.

| | |
|---|---|
| ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. | შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ. |
| „ „ „ „ III და IV „ | |

პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.
გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)
ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშუალო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

მისამართი: Кутаисъ, кигоиздательство „Ганатлеба“.

# სააავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვილოსნო სენთა ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელსონი—ქალთა დ საშვილოსნო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—29

თეფზის მრეწველნი
# ძმ. მეგრელოვები

მუშტაიდის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მიიღება საკუთარი და სხვადასხვა სახლ. „ძ. მეგრელოვის-ნობათ, სამრეწველოებიდან ახალი ქეიროთის მინდვრების, მცირე მარილიანი, შავი „მეზისი“ ხიზილალა. მიიღება საუკეთესო სიღნაღის შავი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი ჩხკვერის ზეითი, თართი, ზუთხი და ლოქო, ბევრი აგრეთვე მიიღება ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)